სამაგისტრო პროგრამა

ბიზნესის ადმინისტრირება

(Business Administration)

პროგრამის კოორდინატორი: ნუგზარ თოდუა

პროგრამის ხელმძღვანელები:

პროფესორი:	/ნ. თოდუა/
პროფესორი:	/ი. კოვზანაძე/
პროფესორი:	/დ. ნარმანია/
პროფესორი:	/ლ. საბაური/
პროფესორი:	/დ. სიჭინავა/
პროფესორი:	/თ. შენგელია/
ასოც. პროფესორი:	/ნ. კაციტაძე/

I. პროგრამის სახელწოდება: ბიზნესის ადმინისტრირება (Business Administration)

II. მისანიჭებელი კვალიფიკაცია: ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრი (Master of Business Administration)

III. პროგრამის მოცულობა კრედიტებით და მათი განაწილება: პროგრამა შედგება როგორც სპეციალობის სავალდებულო კურსებისაგან, ისე სასპეციალიზაციო არჩევითი მოდულებისგან, რომელთაგანაც სტუდენტი ირჩევს მხოლოდ ერთს. სულ 7 ასეთი მოდულია: ფინანსები და საბანკო საქმე, მენეჯმენტი, საერთაშორისო ბიზნესი, ბუღალტრული აღრიცხვა და აუდიტი, მარკეტინგი, ტურიზმისა და მასპინძლობის მენეჯმენტი, ინფორმაციული ტექნოლოგიების მენეჯმენტი. პროგრამის მოცულობაა 120 ECTS კრედიტი, მათ შორის: პროგრამისთვის სავალდებულო კრედიტები- 70 (სავალდებულო სასწავლო კურსები - 40 კრედიტი, პროფესიული პრაქტიკა - 10 კრედიტი, სამაგისტრო ნაშრომი - 20 კრედიტი). პროგრამისთვის არჩევითი კრედიტების რაოდენობაა 50, რომელიც წარმოდგენილია 7 მოდულად: მოდულისთვის სავალდებულო კურსები - 35 კრედიტი (მოდულში „ბუღალტრული აღრიცხვა და აუდიტი“-45 კრედიტი),

მოდულის არჩევითი კურსები - 15 კრედიტი (მოდულში „ბუღალტრული აღრიცხვა და აუდიტი“- 5 კრედიტი).

IV. სწავლების ენა: ქართული ენა

V. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი:

ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამის მიზანი შეესაბამება ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მისიას, რომელიც ითვალისწინებს ეროვნულ და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებათა დამკვიდრებისა და საზოგადოების ინტელექტუალური, ზნეობრივი, კულტურული და სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ხელშეწყობას; ახალი ცოდნის შექმნას, შენახვასა და გავრცელებას; კვლევებითა და ინოვაციებით საუნივერსიტეტო ტრადიციების განვითარებას; სტუდენტზე ორიენტირებული სწავლებას და კონკურენტუნარიანი კადრების მომზადებას; მთელი ცხოვრების განმავლობაში სწავლის ხელშეწყობას; თავისუფალი სამყაროს ღირსეულ წევრობას.

საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია ბიზნესის ადმინისტრირების მრავალმხრივი თეორიული ცოდნისა და პრაქტიკული უნარ-ჩვევების, სამეცნიერო კვლევისა და შემოქმედებითი მუშაობის უნარის მქონე კონკურენტუნარიანი სპეციალისტების მომზადება.

ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამის კონკრეტულ მიზნებს წარმოადგენს:

- მენეჯმენტის თანამედროვე კონცეფციების შესახებ კომპლექსური ცოდნის დაუფლება და მულტიდისციპლინარულ გარემოში მენეჯმენტის სისტემის სრულყოფისთვის ეფექტიანი მიდგომებისა და სწორი მენეჯერული გადაწყვეტილებების მიღების მექანიზმების საფუძვლიანი შესწავლა.
- ფირმების (ორგანიზაციების) მმართველობით საქმიანობაში მარკეტინგის გამოყენების თანამედროვე მიდგომებისა და ბაზარზე ორიენტირებული მარკეტინგული სტრატეგიების შემუშავების ხერხების დაუფლება.
- კომპანიის საქმიანობაში ფინანსური მენეჯმენტის თანამედროვე მიდგომებისა და პრაქტიკული მეთოდების კომპლექსური შესწავლით შესაბამისი სტრატეგიებისა და ფინანსური ინსტრუმენტების შემუშავების ხერხების დაუფლება.
- შეასწავლოს სტუდენტს საინფორმაციო სისტემების მენეჯმენტისა და მენეჯერის როლისა და ადგილი წარმოების მართვის საერთო სისტემაში, საინფორმაციო სისტემების ფორმირებისა და ამორჩევის თანამედროვე მეთოდები, ინფორმატიზაციის სფეროში ინფორმაციული რესურსების შესწავლის, დაცვისა და ეფექტიანად გამოყენების საკითხები.
- წარმოების დანახარჯების კალკულაციის არატრადიციული მეთოდების არსის, პროცესუალური წარმოების დროს მზა პროდუქციის ერთეულის თვითღირებულების კალკულაციის მეთოდიკის, პროდუქციის (მომსახურების) თვითღირებულების ნორმატიული დანახარჯებით კალკულაციის თავისებურებების სიღრმისეული შესწავლა; რელევანტური და ალტერნატიული დანახარჯების გამოთვლის, გადაწყვეტილებების მიღების მეთოდიკის გაცნობა გაურკვევლობისა და წარმოების შემზღუდველი ფაქტორების არსებობის დროს.

- გლობალიზაციისა და მსოფლიო ბიზნესში მიმდინარე პროცესების, გლობალურ დონეზე საერთაშორისო კომპანიების ოპერირებისა და თავისებურებების ღრმა და სისტემური ცოდნის გადაცემა.

- ბიზნესის მართვის სფეროში მიღებული ცოდნის შეჯამება, გარკვეული მიმართულებით ცოდნის გაღრმავება, საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგებით განსაზღვრული უნარ-ჩვევების საფუძველზე კვლევის დამოუკიდებლად განხორციელება და საკუთარი კვლევის შედეგების წარმოჩენა.

საგანმანათლებლო პროგრამის ცალკეული მოდული უზრუნველყოფს ბიზნესის ადმინისტრირების ცალკეულ სფეროში კონკრეტული მიზნების მიღწევას.

VI. პროგრამაზე დაშვების წინაპირობა

- ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამაზე ჩარიცხვის მსურველს უნდა ჰქონდეს ბაკალავრის აკადემიური ხარისხი;
- ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამაზე ჩარიცხვის მსურველმა უნდა ჩააბაროს საერთო სამაგისტრო გამოცდა და სამაგისტრო პროგრამაზე მისაღები გამოცდა საგანში ,,ეკონომიკის პრინციპები". ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამაზე მისაღები გამოცდის ჩატარების წესები განსაზღვრულია უნივერსიტეტის მიერ;
- სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვა, ან გადმოყვანის წესით ჩარიცხვა უცხო ქვეყნის აღიარებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ვადებში და დადგენილი წესით.

VII. სწავლის შედეგები

1. ცოდნა და გაცნობიერება

კურსდამთავრებულს ეცოდინება:

1.1. მენეჯმენტის თანამედროვე კონცეფციები, ორგანიზაციის მართვის თანამედროვე მიდგომები, სიტუაციის შესაბამისი მმართველობითი გადაწყვეტილების მიღების ტაქტიკა, მენეჯმენტის ცალკეული ფუნქციების რეალიზაციის სპეციფიკა;

1.2. ფირმის მმართველობით საქმიანობაში მარკეტინგის კონცეფციის გამოყენების თავისებურებების ჩამოთვლა, მარკეტინგული გეგმის სტრუქტურის წარმოდგენა, მარკეტინგული კვლევის მეთოდების აღწერა, მყიდველებთან ლოიალური ურთიერთობების ჩამოყალიბების პრინციპების დემონსტრირება, სამომხმარებლო და ბიზნესბაზრებზე მყიდველთა ქცევის განმსაზღვრელი ფაქტორების შეცნობა, ბაზრის სეგმენტაციის კრიტერიუმების ჩამოთვლა, ბრენდის კაპიტალის ფორმირებისა და პოზიციონირების მეთოდების გამორჩევა, კონკურენტული სტრატეგიების ჩამოყალიბება, ფირმის მმართველობით საქმიანობაში პროდუქტის, ფასების, დისტრიბუციისა და კომუნიკაციის სტრატეგიების ფორმირებაში მარკეტინგული

მიდგომების ფორმულირება, ახალი საბაზრო შეთავაზების ხერხების განსაზღვრა, ჰოლისტიკური მარკეტინგული მართვის პრინციპების ილუსტრირება.

1.3. ფინანსური მენეჯმენტის თანამედროვე თეორია და ფინანსური ინსტრუმენტების განსაზღვრა; ფინანსური ანგარიშგების შედგენის გზები და ანალიზის განხორციელების მეთოდები, ასევე ფინანსური განვითარების პროგნოზის შედგენის მეთოდები; ფინანსური გადაწყვეტილებების რისკების, შემოსავლიანობის და ეფექტიანობის შეფასება, მათ შორის დაფინანსების სტრატეგიის განსაზღვრა; კაპიტალის მართვის და სადივიდენდო პოლიტიკის პრინციპები.

1.4. საინფორმაციო სისტემების მენეჯმენტის ამოცანებში გარკვევა, საწარმოებში ინფორმაციული ტექნოლოგიების დანერგვის მიზანშეწონილობის დასაბუთება, ინფორმატიზაციის სფეროში ოპერატიული და სტრატეგიული გეგმების შემუშავება, საინფორმაციო სისტემების შექმნა და დანერგვა, კვალიფიცირებულ კადრებზე მოთხოვნის განსაზღვრა და შესაბამისად კადრების შერჩევა და სწავლების პოლიტიკის გატარება, ინფორმაციული ტექნოლოგიების ბაზარზე ორგანიზაციისათვის საჭირო პროგრამული და ტექნიკური საშუალებების ამორჩევა და შეძენა, ინფორმატიზაციის სფეროში ინოვაციური პროექტების განხორციელება და მართვა, ინფორმაციული რესურსების კომპლექსური დაცვა, ბიზნეს-პროცესების ავტომატიზაციის პროგრამული პაკეტი ERP-APEX.

1.5. პროდუქციის თვითღირებულების კალკულაციის სისტემების შედარებითი ანალიზი, დანახარჯების აღრიცხვის ალტერნატიული პროექტების შედგენის გზები, რელევანტური და ალტერნატიული დანახარჯების დადგენა, დანახარჯებთან დაკავშირებული რისკების შეფასების საკითხები.

1.6. გლობალიზაციისა და გლობალური ბიზნესის განვითარების ზოგადი ტენდენციები მსოფლიოში; ეროვნული განსხვავებების ზეგავლენა გლობალურ ბიზნესზე; კულტურული დეტერმინანტების როლი გლობალურ ბიზნესში; გლობალური ბიზნესის მორალური პასუხისმგებლობის საკითხები; გლობალური ვაჭრობის ეკონომიკური პოლიტიკა; ინტეგრაციული პროცესები და საქართველოს ევროკავშირში გაერთიანების პოლიტიკა; უცხოური ვალუტის გაცვლითი ბაზარი და მისიზეგავლენა გლობალურ ბიზნესზე; გლობალურ ბაზრებზე შესვლის სტრატეგიები; გლობალური ადამიანური რესურსების მენეჯმენტის საკითხები.

1.7. ლიტერატურული მასალების კრიტიკული ანალიზის საფუძველზე ბიზნესის თანამედროვე კონცეფციების აღწერა; ბიზნესის მართვის სფეროში სხვადასხვა თეორიული შეხედულების შედარება და მის საფუძველზე საკუთარი აზრის ფორმულირება; ბიზნესის კონკრეტული სფეროს ფუნქციონირება-განვითარების სისტემური კანონზომიერებების ჩამოყალიბება; მონაცემების შეგროვების მეთოდების გამორჩევა; კვლევის შედეგების წარმატებული პრეზენტაციის პრინციპების ჩამოყალიბება; კვლევის ეთიკური ნორმებისა და პრინციპების ფორმულირება.

1.8. სამეცნიერო წერის სტანდარტები, სტრუქტურულად გამართული სამეცნიერო ნაშრომის, რეფერატის, ანოტაციის, რეზიუმეს, რეცენზიის შემუშავების და გაფორმების წესები; საკუთარი ნაშრომის დაგეგმვის, შექმნის, კრიტიკულად განხილვის და შესწორების თეორიული და პრაქტიკული მოთხოვნები. მათ ეცოდინებათ აკადემიური წერის - ციტირების, შეჯამების, პერეფრაზირების ტექნიკა, გააცნობიერებენ აკადემიური პატიოსნების მნიშვნელობას ახალი ცოდნის შექმნასა და განვითარებაში.

2. ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი

პროფესიული საქმიანობის განხორციელებისათვის კურსდამთავრებულს შეეძლება:

2.1. SMART მიზნის ადექვატური ამოცანების სწორად დასმა და მმართველობითი ინსტრუმენტების გამოყენებით ოპტიმალური გადაწყვეტილების მიღება, ორგანიზაციული სისტემის რაციონალური დაპროექტების მეთოდების შერჩევა, ორგანიზაციული ცვლილებებისა და განვითარების მართვა, წამყვანი მენეჯერების საერთაშორისო გამოცდილებისა და გლობალური მენეჯმენტის თანამედროვე მიღწევების გამოყენება, ადამიანთა მოტივაციისა და საერთო მიზნების მისაღწევად მათი ორგანიზება.

2.2. ფირმების საქმიანობაში მარკეტინგის მართვის ძირითადი სირთულეების გამოვლენა და მათი გადაჭრა, მარკეტინგული გეგმის მომზადება, მარკეტინგული გამოკვევა, სამომხმარებლო და ბიზნესბაზრების შეფასება, სამომხმარებლო და ბიზნესბაზრებზე მყიდველთა ქცევის ახსნა, ბაზრის სეგმენტაციის, ბრედის კაპიტალის ფორმირებისა და პოზიციონირების შესახებ წინადადებების მომზადება, კონკურენტული სტრატეგიისა და საბაზრო შეთავაზების შერჩევა, პროდუქტის, ფასების, დისტრიბუციისა და კომუნიკაციის პროგრამების მომზადება, ფირმაში მარკეტინგის განყოფილების შექმნა და მისი საქმიანობის შეფასება.

2.3. კომპანიების საქმიანობაში ფინანსური მენეჯმენტის ძირითადი სირთულეების გამოვლენა და მათი გადაჭრა; ფინანსური ანგარიშგებისა და ფინანსური განვითარების პროგნოზის შედგენა; ფინანსური რისკებისა და ეფექტიანობის შეფასება; უახლესი მიდგომებისა და მეთოდების გამოყენებით საფინანსო და საინვესტიციო გადაწყვეტილებების მისაღებად სტრატეგიის შერჩევა და შეთავაზება.

2.4. სამართავ ობიექტზე შეარჩიოს ინფორმატიზაციის სფეროსთვის საჭირო კადრები, საწარმოს ინფორმაციული რესურსებისთვის შეადგინოს ოპერატიული და სტრატგიულ გეგმები, განახორციელოს ინფორმაციული რესურსების უსაფრთხოების ღონისძიებები, პროფესიულ საქმიანობაში გამოიყენოს საინფორმაციო სისტემების შემუშავებისა და დანერგვის შესახებ შეძენილი პრაქტიკული ცოდნა, ბიზნესის მართვის სფეროში თანამედროვე ინფორმაციული ტექნოლოგიების დანერგვის მიზნით კვლევების განხორციელებას, ბიზნეს-პროცესების ავტომატიზაციის ERP-APEX პროგრამული პაკეტის გამოყენებას.

2.5. წარმოების ტიპით განპირობებული კალკულაციის მეთოდის შერჩევა, რესურსების ეფექტიანად გამოყენების უახლესი მეთოდებისა და ხერხების, გაურკვევლობის პირობებში დამოუკიდებელი კვლევისა და გადაწყვეტილებების მიღების ახალი მეთოდებისა და მიდგომების გამოყენება, დანახარჯების მართვისა და აღრიცხვის კონკრეტულ საკითხებზე დამოუკიდებელი კვლევების, საკუთარი თვალსაზრისის ჩამოყალიბება.

2.6. გლობალური ბიზნესის აქტუალური პრობლემატიკის იდენტიფიცირება და ობიექტური ახსნა; გლობალური ბიზნესის შესაძლებლობათა პრაქტიკული გამოყენება; გლობალური

ბიზნესის დარგში კომპლექსური პრობლემების გათვალისწინება, ახალი ორიგინალური გზების ძიება; გლობალური ბიზნესის სფეროში კვლევების დამოუკიდებლად განხორციელება უახლესი მეთოდებისა და მიდგომების გამოყენებით.

2.7. კვლევის დამოუკიდებლად ჩატარება; ინფორმაციის მოძიება და კვლევის შედეგების წარდგენა; ბიზნესის განვითარების ეფექტიანი მოდელის შემუშავება, პრაქტიკაში მისი გამოყენების შესაძლებლობებისა და გზების დადგენა.

2.8. მოძიება, დახარისხება, ფაქტების განზოგადება, ანალიზ, კრიტიკულ გააზრება, არგუმენტირებული გადაწყვეტილებების მიღება და დასაბუთებული დასკვნები გამოტანას; არგუმენტირებული, ანალიტიკური და კრიტიკული აკადემიური ტექსტების შექმნა, თანამედროვე სამეცნიერო მიღწვებზე დამყარებული ახალი ორიგინალური იდეების გენერირება და კვლევას უახლესი მეთოდების და მიდგომების გამოყენებით, შედეგების გადმოცემა სამეცნიერო ტექსტის აუცილებელი მოთხოვნების დაცვით.

3. დასკვნის უნარი

ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამის კურსდამთავრებულს შეეძლება:

3.1 რთული და არასრული ინფორმაციის (მათ შორის უახლესი კვლევების) კრიტიკული ანალიზის საფუძველზე დასაბუთებული დასკვნების გამოტანა;

3.2 უახლეს მონაცემებზე დაყრდნობით ინფორმაციის ინოვაციური სინთეზი;

3.3 სტრატეგიული გადაწყვეტილებების მიღება;

3.4 ჩატარებული კვლევის შედეგების სწორი ფორმულირება, დიაგნოსტირება და დანერგვა;

3.5 ჩატარებული კვლევის შედეგად დასაბუთებული დასკვნების გამოტანა და განზოგადება;

3.6 განსახორციელებელი ღონისძიებების ორგანიზება;

3.7 პრობლემების გადაჭრა და ალტერნატივების შეთავაზება.

3.8 რთული ან არასრული ინფორმაციის (მათ შორის კვლევების) კრიტიკულ ანალიზი, ინფორმაციის ინოვაციურ სინთეზი და შეფასება, ინფორმაციის, ძირითადი და დამხმარე საინფორმაციო წყაროების მნიშვნელობის განსაზღვრა, განსხვავებული თვალსაზრისების შედარება, პრობლემის გადაჭრის გზის პოვნა.

4. კომუნიკაციის უნარი

ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამის კურსდამთავრებულს შეეძლება:

4.1. დასკვნების, არგუმენტაციისა და კვლევის მეთოდების კომუნიკაცია აკადემიურ თუ პროფესიულ საზოგადოებასთან;

4.2. საკუთარი მოსაზრებების გამოხატვა და დაცვა;

4.3. სხვა სფეროს ექსპერტებთან კომუნიკაცია და კამათი;

4.4. იდეების, არსებული პრობლემების, გადაჭრის გზებისა და კვლევის შესახებ დეტალური ანგარიშის მომზადება;
4.5. რეფერატული სახის ნაშრომის მომზადება და პრეზენტაცია;
4.6. კვლევითი სახის ნაშრომის მომზადება და პრეზენტაცია.

5. სწავლის უნარი

ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამის კურსდამთავრებულს შეეძლება:

5.1. სწავლის დამოუკიდებლად წარმართვა;
5.2. სწავლის პროცესის გაცნობიერება და სტრატეგიულად დაგეგმვა;
5.3. საკუთარი სწავლის პროცესისადმი კომპლექსური მიდგომა და შემდგომი სწავლის საჭიროებების დადგენა;
5.4. სამეცნიერო დარგობრივ ლიტერატურასთან დამოუკიდებლად მუშაობა.

6. ღირებულებები

ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამის კურსდამთავრებულს ექნება შემდეგი ღირებულებები:

6.1. ღირებულებებისადმი თავისი და სხვების დამოკიდებულების შეფასება;
6.2. ახალი ღირებულებების დამკვიდრებაში წვლილის შეტანა;
6.3. ეთიკური ნორმების დაცვა;
6.4. სამოქალაქო და სოციალური პასუხისმგებლობის დამკვიდრებაში წვლილის შეტანა.

VIII. სწავლის შედეგების მიღწევის მეთოდები

ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამით სტუდენტების სწავლებისას, ტრადიციულ ლექციებთან ერთად, გამოიყენება პრაქტიკული და სემინარული მეცადინეობები, პრეზენტაციები და სწავლების სხვა აქტიური მეთოდები. მეცადინეობები ჩატარდება სწავლების აქტიური მეთოდების გამოყენებით, როგორიცაა ტესტირება, პრაქტიკული სავარჯიშოებისა და სიტუაციური ამოცანების (ქეისების) განხილვა, დისკუსია–სემინარების ჩატარება, საპრეზენტაციო პროექტების მომზადება, აგრეთვე საკონსულტაციო და დამოუკიდებელი მუშაობა. პროგრამით გათვალისწინებული შედეგების მიღწევისათვის გამოყენებული იქნება სწავლებისა და სწავლის სხვადასხვა მეთოდი, როგორიცაა ვერბალური, წიგნზე მუშაობის, დისკუსიის, დებატების, დემონსტრირების, ინდუქციის, დედუქციის და სხვ. თეორიისა და პრაქტიკის ინტეგრაცია განხორციელდება შესაბამის ორგანიზაციაში პროფესიული პრაქტიკის გავლით.

სწავლა/სწავლების მეთოდები:

- **ვერბალური** - ზეპირსიტყვიერი;

- **წიგნზე მუშაობის** - სახელმძღვანელოდან საშინაო დავალების მომზადება, ამოცანათა კრებულიდან ამოცანების ამოხსნა;
- **დემონსტრირების** - ინფორმაციის ვიზუალური წარდგენა. სასწავლო მასალის დემონსტრირება მოხდება სლაიდებით და დაფის გამოყენებით;
- **პრაქტიკული მეთოდები** - უზრუნველყოფს პრაქტიკულ უნარ-ჩვევების გამომუშავებას. ამოხსნილი იქნება გამჭოლი პრაქტიკული სავარჯიშო, რომელიც დასრულდება ფინანსური ანგარიშგების მომზადებით;
- **ახსნა განმარტებითი მეთოდი** – ეფუძნება მსჯელობას მოცემული საკითხის ირგვლივ. დაწვრილებით განხილული იქნება კონკრეტული მაგალითი;
- **ქმედებაზე ორიენტირებული სწავლება** – მოითხოვს პროფესორისა და სტუდენტის აქტიურ ჩართულობას სწავლების პროცესში, სადაც განსაკუთრებულ დატვირთვას იძენს თეორიული მასალის პრაქტიკული ინტერპრეტაცია;
- **შემთხვევის ანალიზი (Case study)** - განხილული იქნება კონკრეტული სიტუაციები (შემთხვევები) და გაკეთდება მათი დეტალური ანალიზი ფინანსურ ანგარიშგებაში ასახვასთან დაკავშირებით;
- **დისკუსია/დებატები** – ინტერაქტიური სწავლების ერთ–ერთი ყველაზე გავრცელებული მეთოდია. დისკუსიის პროცესი მკვეთრად ამაღლებს სტუდენტთა ჩართულობის ხარისხსა და აქტივობას. დისკუსია შესაძლებელია გადაიზარდოს კამათში. ეს პროცესი არ შემოიფარგლება მხოლოდ პროფესორის მიერ დასმული შეკითხვებით. ეს მეთოდი უვითარებს სტუდენტს კამათისა და საკუთარი აზრის დასაბუთების უნარს;
- **ჯგუფური** (collaborative) **მუშაობა** - ამ მეთოდით სწავლება გულისხმობს სტუდენტთა ჯგუფებად დაყოფას და მათთვის სასწავლო დავალების მიცემას. ჯგუფის წევრები ინდივიდუალურად ამუშავებენ საკითხს და პარალელურად უზიარებენ მას ჯგუფის დანარჩენ წევრებს. დასახული ამოცანიდან გამომდინარე შესაძლებელია ჯგუფის მუშაობის პროცესში წევრებს შორის მოხდეს ფუნქციების გადანაწილება. ეს სტრატეგია უზრუნველყოფს ყველა სტუდენტის მაქსიმალურ ჩართულობას სასწავლო პროცესში.

IX. სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა და შეფასების კრიტერიუმები

სტუდენტის ცოდნის შეფასება მოხდება 100 ქულიანი სისტემით. 100 ქულა არის მაქსიმალური შეფასება. კრედიტის მინიჭების წინაპირობაა 100–დან 51 ქულის დაგროვება. შეფასების ამ სისტემაში ქულების განაწილების სქემა ასეთია:

დასკვნით გამოცდაზე გასვლის წინაპირობაა შუალედურ შეფასებებში მინიმუმ 11 –21 ქულის მიღება სასწავლო კურსის შესაბამისად, ხოლო დასკვნითი გამოცდა ითვლება ჩაბარებულად, თუ სტუდენტმა გამოცდაზე მიიღო მაქსიმალური ქულის 50% (დამატებითი პირობები განისაზღვრება შესაბამისი სასწავლო კურსის სილაბუსის მიხედვით).

შეფასების სისტემა უშვებს:

ა) ხუთი სახის დადებით შეფასებას:

(A) ფრიადი – შეფასების 91-100 ქულა;

(B) ძალიან კარგი – მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა;

(C) კარგი – მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა;

(D) დამაკმაყოფილებელი – მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა;

(E) საკმარისი – მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა.

ბ) ორი სახის უარყოფით შეფასებას:

(FX) ვერ ჩააბარა – მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასლის უფლება;

(F) ჩაიჭრა – მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტში, FX-ის მიღების შემთხვევაში სტუდენტს უფლება აქვს გავიდეს დამატებით გამოცდაზე, რომელიც ინიშნება დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 დღეში.

შეფასების კრიტერიუმები წარმოადგენს შეფასების მეთოდის საზომ ერთეულს, რითაც დგინდება სწავლის შედეგების მიღწევის დონე საგანმანათლებო პროგრამის თითოეული კომპონენტებისთვის.

X. სასწავლო გეგმა

ფაკულტეტი: ეკონომიკისა და ბიზნესის

ინსტიტუტი / დეპარტამენტი / კათედრა / მიმართულება: ბიზნესის ადმინისტრირება

სამაგისტრო პროგრამის კოორდინატორი: პროფესორი ნუგზარ თოდუა

სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელები: პროფესორი ნუგზარ თოდუა, პროფესორი ირაკლი კოვზანაძე, პროფესორი დავით ნარმანია, პროფესორი თემურ შენგელია, პროფესორი ლევან საბაური, პროფესორი დემურ სიჭინავა, ასოცირებული პროფესორი ნანა კაციტაძე.

აკადემიური საბჭოს მიერ პროგრამის დამტკიცების თარიღი, დადგენილების ნომერი: *თსუ აკადემიური საბჭოს 2011 წლის 29 ივნისის დადგენილება #57*

პროგრამის ამოქმედების თარიღი (სასწავლო წელი): ***2011-2012***

სასწავლო გეგმა

კოდი	სასწავლო კურსის დასახელება	სასწავლო კურსის სტატუსი: სავალდებულო, არჩევითი	საგანზე დაშვების წინაპირობა	საკონტაქტო მუშაობის საათების რაოდენობა			დამოუკიდებელი მუშაობის საათების რაოდენობა	ავტორი/ ლექტორი	კრედიტების საერთო რაოდენობა	კრედიტების განაწილება სემესტრები			
				სულ	ლექცია	სემინარი/ პრაქტიკული				I	II	III	IV
პროგრამისთვის სავალდებულო სასწავლო კურსები - სულ 40 კრედიტი													
	მენეჯმენტის თანამედროვე კონცეფციები	სავალდებულო	წინაპირობის გარეშე	45	15	30	80	დ. ნარმანია ე. ჩოხელი	5	5			
	მარკეტინგის მენეჯმენტი	სავალდებულო	წინაპირობის გარეშე	45	15	30	80	ნ. თოდუა	5	5			
	ფინანსური მენეჯმენტი	სავალდებულო	წინაპირობის გარეშე	45	15	30	80	ხ. ბარბაქაძე	5	5			
	საინფორმაციო სისტემების მენეჯმენტი	სავალდებულო	წინაპირობის გარეშე	45	15	30	80	მ. მაღრაძე	5	5			
	მმართველობითი აღრიცხვა II	სავალდებულო	წინაპირობის გარეშე	45	15	30	80	ი. ჭილაძე	5	5			
	გლობალური ბიზნესი	სავალდებულო	წინაპირობის გარეშე	45	15	30	80	თ. შენგელია	5	5			
	აკადემიური წერა	სავალდებულო	წინაპირობის გარეშე	45	15	30	80	ე. ლეკაშვილი გ. შაბაშვილი	5		5		
	კვლევითი პროექტი	სავალდებულო	სტუდენტი დარეგსტრირებული უნდა იყოს ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამის რომელიმე არჩევით მოდულზე	15	-	-	110	ნ. თოდუა	5		5		
სულ - 40 კრედიტი													
არჩევითი მოდულები (სტუდენტი 7 მოდულიდან ირჩევს ერთს)													

მოდული: მენეჯმენტი													
	სტრატეგიული მენეჯმენტი	სავალდებულო	მენეჯმენტის თანამედროვე კონცეფციები	45	15	30	80	ე. ჩოხელი	5		5		
	მენეჯმენტი გლობალურ გარემოში	სავალდებულო	მენეჯმენტის თანამედროვე კონცეფციები	45	15	30	80	გ. ღაღანიძე გ. გრიგოლაშვილი	5		5		
	კვლევის მეთოდები მენეჯმენტში	სავალდებულო	წინაპირობის გარეშე	45	15	30	80	დ. ნიჟარაძე	5		5		
	ბიზნესის სამართლებრივ-ეკონომიკური რეგულირება	არჩევითი	მენეჯმენტის თანამედროვე კონცეფციები	45	15	30	80	დ.ნარმანია	5		5		
	დროის მენეჯმენტი	არჩევითი	მენეჯმენტის თანამედროვე კონცეფციები	45	15	30	80	მ. ხარხელი					
	კონფლიქტებისა და მოლაპარაკებების მართვა	არჩევითი	მენეჯმენტის თანამედროვე კონცეფციები	45	15	30	80	ნ. ფარესაშვილი	5				
	რისკ-მენეჯმენტი	სავალდებულო	მენეჯმენტის თანამედროვე კონცეფციები	45	15	30	80	დ. ნარმანია	5			5	
	ანტიკრიზისული მენეჯმენტი	სავალდებულო	მენეჯმენტის თანამედროვე კონცეფციები	45	15	30	80	გ. ქეშელაშვილი	5			5	
	ლიდერობა	სავალდებულო	წინაპირობის გარეშე	45	15	30	80	ნ. ხარაძე	5			5	
	ტექნოლოგიური და ოპერაციული მენეჯმენტი	სავალდებულო	მენეჯმენტის თანამედროვე კონცეფციები	45	15	30	80	ე. ჩოხელი დ. ნიჟარაძე	5			5	
	საინვესტიციო პროექტების მართვა	არჩევითი	მენეჯმენტის თანამედროვე კონცეფციები	45	15	30	80	გ. წიკლაური	5				
	საერთაშორისო ვაჭრობის მენეჯმენტი	არჩევითი	მენეჯმენტის თანამედროვე კონცეფციები	45	15	30	80	გ. ღაღანიძე	5			10	
	კონკურენტული სტრატეგიები	არჩევითი	მენეჯმენტის თანამედროვე კონცეფციები	45	15	30	80	ბ. რამიშვილი	5				
	ადამიანური რესურსების სტრატეგიული მართვა	არჩევითი	წინაპირობის გარეშე	45	15	30	80	ე. გულუა	5				

მოდული: ფინანსები და საბანკო საქმე													
	ფინანსური სისტემა და რეგულირება	სავალდებულო	ფინანსური მენეჯმენტი	90	30	60	160	ხ. ბარბაქაძე ნ. კაკაშვილი	10		10		
	საერთაშორისო სავალუტო და საკრედიტო ურთიერთობები	სავალდებულო	ფინანსური მენეჯმენტი	45	15	30	80	ე. ჯგერენაია	5		5		
	საბანკო სისტემის რეგულირება	არჩევითი	ფინანსური მენეჯმენტი	45	15	30	80	ლ. ღუდუშაური	5				
	ინვესტიციები და ინვესტიციური პროექტები	არჩევითი	ფინანსური მენეჯმენტი	45	15	30	80	ი. კოვზანაძე	5		5		
	კვლევის მეთოდები	არჩევითი	წინაპირობის გარეშე	45	15	30	80	ნ. თოდუა	5				
	სადაზღვევო სისტემა და რეგულირება	სავალდებულო	ფინანსური მენეჯმენტი	90	30	60	160	ნ. კაკაშვილი	10			10	
	საგადასახადო და საბაჟო ტექნოლოგიები	სავალდებულო	ფინანსური მენეჯმენტი	45	15	30	80	მ. ჩიკვილაძე	5			5	
	კორპორაციული მართვა საბანკო სისტემაში	სავალდებულო	ფინანსური მენეჯმენტი	45	15	30	80	ი. კოვზანაძე	5			5	
	ფასიანი ქაღალდები და საერთაშორისო ფინანსური ბაზრები	არჩევითი	ფინანსური მენეჯმენტი	90	30	60	160	ე. ჯგერენაია	10			10	
	საბანკო და საკრედიტო ორგანიზაციების რეინჟინერინგი	არჩევითი	ფინანსური მენეჯმენტი	90	30	60	160	ლ. ღუდუშაური	10				
მოდული: ბუღალტრული აღრიცხვა და აუდიტი													
	ფინანსური აღრიცხვა II	სავალდებულო	წინაპირობის გარეშე	90	30	60	160	ე. ხარაბაძე	10		10		
	ფინანსური ანალიზი	სავალდებულო	წინაპირობის გარეშე	90	30	60	160	ი. ჭილაძე	10		10		
	კორპორაციული ანგარიშგება	სავალდებულო	წინაპირობის გარეშე	45	15	30	80	ნ. კვატაშიძე	5			5	
	აუდიტის საერთაშორისო სტანდარტები (ასს)	სავალდებულო	წინაპირობის გარეშე	90	30	60	160	ლ. საბაური	10			10	
	გადასახადების აღრიცხვა და ანგარიშმგებლობა	სავალდებულო	წინაპირობის გარეშე	45	15	30	80	ე. ხარაბაძე	5			5	
	ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტები (ფასს)	სავალდებულო	წინაპირობის გარეშე	45	15	30	80	ე. ხარაბაძე ნ. კვატაშიძე	5			5	

	საწარმოს რესურსების მართვის სისტემა	არჩევითი	წინაპირობის გარეშე	45	15	30	80	თ. მუნჯიშვილი	5				
	ბიზნესის სამართლებრივი ეკონომიკური რეგულირება	არჩევითი	მენეჯმენტის თანამედროვე კონცეფციები	45	15	30	80	დ. ნარმანია	5				
	კვლევის მეთოდები ბიზნესში	არჩევითი	წინაპირობის გარეშე	45	15	30	80	დ. სიხარულიძე	5			5	
მოდული: მარკეტინგი													
	გლობალური მარკეტინგი	სავალდებულო	მარკეტინგის მენეჯმენტი	90	30	60	160	ნ. თოდუა	10		10		
	ბრენდინგი	სავალდებულო	მარკეტინგის მენეჯმენტი	45	15	30	80	მ. ვეშაგური	5		5		
	სოციალური მარკეტინგი	არჩევითი	მარკეტინგის მენეჯმენტი	45	15	30	80	ჩ. ჯაში	5				
	სურსათის მარკეტინგი	არჩევითი	მარკეტინგის მენეჯმენტი	45	15	30	80	ე. სარჯველაძე	5		5		
	მომსახურების მარკეტინგი	არჩევითი	მარკეტინგის მენეჯმენტი	45	15	30	80	მ. ალანია	5				
	მარკეტინგული კვლევები	სავალდებულო	მარკეტინგის მენეჯმენტი	90	30	60	160	ნ. თოდუა	10			10	
	მომხმარებელთა ქცევა	სავალდებულო	მარკეტინგის მენეჯმენტი	45	15	30	80	ნ. თოდუა, მ. ვეშაგური	5			5	
	ლოგისტიკა	სავალდებულო	მარკეტინგის მენეჯმენტი	45	15	30	80	ნ. ოქრუაშვილი	5			5	
	ბიზნეს მარკეტინგი	არჩევითი	მარკეტინგის მენეჯმენტი	45	15	30	80	ჩ. ჯაში	5				
	საზოგადოებასთან ურთიერთობები	არჩევითი	მარკეტინგის მენეჯმენტი	45	15	30	80	მ. კობალავა	5			10	
	მარკეტინგი	არჩევითი	მარკეტინგის მენეჯმენტი	45	15	30	80	ნ. თოდუა	5				

	მოგზაურობასა და ტურიზმში												
მოდული: საერთაშორისო ბიზნესი													
	კვლევის მეთოდები ბიზნესში	სავალდებულო	წინაპირობის წინაშე	45	15	30	80	დ. სიხარულიძე	5		5		
	საერთაშორისო ლოგისტიკა	სავალდებულო	გლობალური ბიზნესი	45	15	30	80	შ. შაბურიშვილი	5		5		
	საერთაშორისო ბიზნესის კომუნიკაციები	სავალდებულო	წინაპირობის გარეშე	45	15	30	80	თ. შენგელია ლ. ხიხაძე	5		5		
	საერთაშორისო ბიზნესის ტრანსაქციები	არჩევითი	წინაპირობის წინაშე	45	15	30	80	ლ. ყორღანაშვილი	5				
	ეკონომიკური დოქტრინები	არჩევითი	წინაპირობის წინაშე	45	15	30	80	ა. სილაგაძე	5		5		
	საერთაშორისო ბიზნესის სოციალური პასუხისმგებლობა	სავალდებულო	წინაპირობის წინაშე	45	15	30	80	ხ. ბერიშვილი	5			5	
	საერთაშორისო ბიზნესის სტატისტიკა	სავალდებულო	წინაპირობის გარეშე	45	15	30	80	ს. გელაშვილი ნ. ასლამაზიშვილი	5			5	
	ტექნოლოგიების საერთაშორისო ტრანსფერი	სავალდებულო	წინაპირობის გარეშე	45	15	30	80	ლ.ყორღანაშვილი	5			5	
	საერთაშორისო ბიზნესის სტრატეგია	სავალდებულო	წინაპირობის გარეშე	45	15	30	80	დ. სიხარულიძე	5			5	
	საერთაშორისო ორგანიზაციები	არჩევითი	გლობალური ბიზნესი	45	15	30	80	ლ. ხიხაძე	5				
	საერთაშორისო ბიზნესის ეთიკა	არჩევითი	წინაპირობის გარეშე	45	15	30	80	უ. სამადაშვილი	5			10	
	ოფშორული ბიზნესი	არჩევითი	წინაპირობის გარეშე	45	15	30	80	ლ. ყორღანაშვილი	5				
მოდული: ტურიზმისა და მასპინძლობის მენეჯმენტი													
	მასპინძლობის მენეჯმენტი	სავალდებულო	წინაპირობის გარეშე	90	30	60	160	ნ. კაციტაძე	10		10		
	საერთაშორისო ტურიზმი	სავალდებულო	წინაპირობის გარეშე	45	15	30	80	ვ. არღუთაშვილი	5			5	
	სტატისტიკური ანალიზი ტურიზმში	სავალდებულო	წინაპირობის გარეშე	45	15	30	80	ს. გელაშვილი ნ. აბესაძე	5		5		
	ტურიზმი და რეგიონული განვითარება	არჩევითი	წინაპირობის გარეშე	45	15	30	80	ვ. არღუთაშვილი	5		5		
	ტურიზმის მდგრადი	არჩევითი	წინაპირობის გარეშე	45	15	30	80	ი. ხელაშვილი	5				

	განვითარება							ე. ბალიაშვილი					
	მარკეტინგი მოგზაურობასა და ტურიზმში	სავალდებულო	მარკეტინგის მენეჯმენტი	45	15	30	80	ნ. თოდუა	5			5	
	ტურიზმის პოლიტიკის ანალიზი	სავალდებულო	წინაპირობის გარეშე	45	15	30	80	მ. ხოხობაია	5			5	
	კვლევის მეთოდები ტურიზმში	სავალდებულო	წინაპირობის გარეშე	45	15	30	80	ნ. კაციტაძე	5			5	
	კულტურული მემკვიდრეობა და ტურიზმი	არჩევითი	წინაპირობის გარეშე	45	15	30	80	ნ. კვარაცხელია	5			10	
	ტურისტული დანიშნულების ადგილის მენეჯმენტი	არჩევითი	წინაპირობის გარეშე	45	15	30	80	ნ. კაციტაძე	5				
	სტრატეგიული მენეჯმენტი ტურიზმში	არჩევითი	წინაპირობის გარეშე	45	15	30	80	მ. ხოხობაია	5				
მოდული: ინფორმაციული ტექნოლოგიების მენეჯმენტი													
	ინფორმაციული მენეჯმენტი	სავალდებულო	საინფორმაციო სისტემების მენეჯმენტი	90	30	60	160	ე. ლაგვილავა	10		10		
	ბიზნესში მონაცემთა ანალიზი და მოდელირება Excel-ისა და SPSS-ის გარემოში	სავალდებულო	წინაპირობის გარეშე	45	15	30	80	რ.სეთურიძე ნ. მიქიაშვილი	5		5		
	WEB ტექნოლოგიები	არჩევითი	წინაპირობის გარეშე	45	15	30	80	ზ. მუნჯიშვილი	5				
	ინფორმაციული ტექნოლოგიები საგადასახადო საქმიანობის მართვაში	არჩევითი	წინაპირობის გარეშე	45	15	30	80	რ. სეთურიძე	5				
	კვლევის მეთოდები ინფორმაციულ მენეჯმენტში	არჩევითი	წინაპირობის გარეშე	45	15	30	80	დ. სიჭინავა რ. სეთურიძე	5		5		
	კლიენტ-სერვერული ტექნოლოგიები	სავალდებულო	საინფორმაციო სისტემების მენეჯმენტი	45	15	30	80	ზ. მუნჯიშვილი	5			5	
	ინფორმაციული ტექნოლოგიები მენეჯმენტში	სავალდებულო	საინფორმაციო სისტემების მენეჯმენტი	45	15	30	80	ე. ლაგვილავა	5			5	
	ინფორმაციული ტექნოლოგიები პროექტების მართვაში	სავალდებულო	საინფორმაციო სისტემების მენეჯმენტი	45	15	30	80	მ. ტიკიშვილი	5			5	

	ინფორმაციის დაცვისა და ინფორმაციული უსაფრთხოების ტექნოლოგიები	სავალდებულო	საინფორმაციო სისტემების მენეჯმენტი	45	15	30	80	დ. სიჭინავა	5			5	
	ინფორმაციული ტექნოლოგიები საბაჟო საქმიანობის მართვაში	არჩევითი	წინაპირობის გარეშე	45	15	30	80	რ. სეთურიძე	5			10	
	ქსელური ეკონომიკა	არჩევითი	საინფორმაციო სისტემების მენეჯმენტი	45	15	30	80	ე. ლაგვილავა	5				
	საბანკო საინფორმაციო სისტემები	არჩევითი	წინაპირობის გარეშე	45	15	30	80	მ. მაღრაძე	5				
	პროფესიული პრაქტიკა												
		პროფესიული პრაქტიკის სტატუსი: სავალდებულო, არჩევითი	დაშვების წინაპირობა	საკონტაქტო მუშაობის საათების რაოდენობა	დამოუკიდებელი მუშაობის საათების რაოდენობა	ავტორი	კრედიტებ	კრედიტების განაწილება სემესტრები					
								I	II	III	IV		
	პროფესიული პრაქტიკა	სავალდებულო	ა) შესაბამისი მოდულის 10 კრედიტი (მარკეტინგის მოდულისთვის - მარკე-ტინგული კვლევები); ბ) სტუდენტი უნდა იყოს დამამთავრებელ სემესტრში	90	160	ნ. თოდუა	10				10		
	სამაგისტრო ნაშრომი												
		სამაგისტრო ნაშრომის სტატუსი: სავალდებულო,	დაშვების წინაპირობა	საკონტაქტო მუშაობის საათების	დამოუკიდებელი მუშაობის საათების რაოდენობა	ავტორი	... საერთ ი	კრედიტების განაწილება სემესტრები					

		არჩევითი		რაოდენობა				I	II	III	IV
	სამაგისტრო ნაშრომი	სავალდებულო	ა) კვლევითი პროექტი; ბ) აკადემიური წერა; გ) სტუდენტი უნდა იყოს დამამთავრებელ სემესტრში ***შენიშვნა:*** სამაგისტრო ნაშრომის დაცვაზე დაშვების წინაპირობაა პროგრამით გათვალისწინებული მინიმუმ 100 კრედიტის ათვისება დ) მარკეტინგის მოდულისთვის - მარკეტინგული კვლევები	15	485	ნ. თოდუა	20				20
პროგრამის სავალდებულო კრედიტები - 70 კრედიტი (მათ შორის: პროფესიული პრაქტიკა - 10 კრედიტი; სამაგისტრო ნაშრომი - 20 კრედიტი) **პროგრამის არჩევითი კრედიტები - 50 კრედიტი, რომელიც წარმოდგენილია 7 მოდულად** **მოდულისთვის სავალდებულო კურსები - სულ 35 კრედიტი** (მოდულში „ბუღალტრული აღრიცხვა და აუდიტი“- 45 კრედიტი), **მოდულისთვის არჩევითი კურსები - 15 კრედიტი** (მოდულში „ბუღალტრული აღრიცხვა და აუდიტი“- 5 კრედიტი)											
სულ: 120 კრედიტი											

XI. სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელები:

პროფესორი ნუგზარ თოდუა, პროფესორი ირაკლი კოვზანაძე, პროფესორი დავით ნარმანია, პროფესორი თემურ შენგელია, პროფესორი ლევან საბაური, პროფესორი დემურ სიჭინავა, ასოც. პროფესორი ნანა კაციტაძე.

XII. დასაქმების სფეროები:

საწარმოები (ფირმები), ეკონომიკის ნებისმიერი სექტორის სხვადასხვა ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის კომერციული ორგანიზაციები, არაკომერციული ორგანიზაციები და გაერთიანებები, საერთაშორისო ორგანიზაციები, ტრანსეროვნულ კორპორაციები და მათ ფილიალები, სახელმწიფო ცენტრალურ და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები. სწავლების პერიოდში მიღებული ცოდნა საშუალებას მისცემს ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრებს წარმატებით იმუშაონ საშუალო და ზედა რგოლის მენეჯერებად, ექსპერტებად და ანალიტიკოსებად. ასევე, სწავლა გააგრძელონ დოქტორის ხარისხის მოსაპოვებლად.

XIII. სწავლის საფასური:

სწავლების საფასური განისაზღვრება საქართველოს მთავრობის მიერ სახელმწიფო უმაღლეს სასწავლებელებში და შეადგენს 2250 ლარს წელიწადში საქართველოს მოქალაქეებისათვის.

XIV. სწავლის გაგრძელების საშუალება:

საგანმანათლებლო პროგრამა „ბიზნესის ადმინისტრირება“ იძლევა განათლების შემდეგ საფეხურზე სწავლის გაგრძელების შესაძლებლობას.

<u>მაგისტრატურაში მისაღები შიდასაუნივერსიტეტო გამოცდის საკითხები</u>
<u>„ეკონომიკის პრინციპები“</u>

თავი 1. ეკონომიკის ათი პრინციპი, გრ. მენქიუ. ეკონომიკის პრინციპები, თბ. “დიოგენე”, 2008. გვ. 3-15

საკითხები:

1. ეკონომიკის ძირითადი პრინციპები, რომელიც ეხება ეკონომიკურ გადაწყვეტილებებს.
2. ეკონომიკის ძირითადი პრინციპები, რომელიც ეხება ეკონომიკურ ურთიერთობებს.
3. ეკონომიკის ძირითადი პრინციპები, რომელიც ეხება ეკონომიკას, როგორც ერთიან სისტემას.

თავი 2. ეკონომიკური აზროვნება, გრ. მენქიუ. ეკონომიკის პრინციპები, თბ. "დიოგენე", 2008. გვ. 19-34.

საკითხები:

1. ეკონომიკური აზროვნება - ეკონომისტების, როგორც მეცნიერებისა შეხედულებები სამყაროზე (ეკონომიკური მოდელები).
2. ეკონომიკური აზროვნება - ეკონომისტების, როგორც პილიტიკოსების შეხედულებები (პოზოტიური და ნორმატიული ანალიზი, მაკროეკონომიკა და მიკროეკონომიკა).

თავი 3. ურთიერთდამოკიდებულება და ვაჭრობიდან მიღებული მოგება, გრ. მენქიუ. ეკონომიკის პრინციპები, თბ. "დიოგენე", გვ. 47-59.

საკითხები:

1. აბსოლუტური უპირატესობის პრინციპი, ურთიერთდამოკიდებულება და ვაჭრობის სარგებლობა.
2. შედარებითი უპირატესობის პრინციპი, ალტერნატიული დანახარჯები და შედარებითი უპირატესობა.

თავი 4. მოთხოვნა და მიწოდება ინდივიდუალურ ბაზარზე, გრ. მენქიუ, ეკონომიკის პრინციპები, თბ. "დიოგენე", 2008. გვ. 63-82.

საკითხები:

1. მოთხოვნის მრუდი, ინდივიდუალური და საბაზრო მოთხოვნა, მოთხოვნის მრუდის გადაადგილებები;
2. მიწოდების მრუდი, ინდივიდუალური და საბაზრო მიწოდება, მიწოდების მრუდის გადაადგილებები;
3. მიწოდება და მოთხოვნა ერთად, წონასწორობის ცვლილების ანალიზის სამი საფეხური, მრუდების ერთდროული გადაადგილებები.

თავი 5. ელასტიკურობა და მისი გამოყენება, გრ. მენქიუ, ეკონომიკის პრინციპები, "დიოგენე", 2008. გვ. 87-106.

საკითხები:

1. მოთხოვნის ელასტიკურობა ფასის მიხედვით და მისი დეტერმინანტები, ფასის მიხედვით მოთხოვნის ელასტიკურობის გამოთვლის ორი მეთოდი;
2. მოთხოვნის ელასტიკურობა ფასის მიხედვით, მოთხოვნის მრუდის სხვადასხვა სახეობები; მთლიანი შემოსავალის გაანგარიშება, ელასტიკურობა და მთლიანი შემოსავალის ცვლილება წრფივი მოთხოვნის მრუდის გასწვრივ;
3. მიწოდების ელასტიკურობა ფასის მიხედვით და მისი დეტერმინანტები, მიწოდების ელასტიკურობის გამოთვლა ფასის მიხედვით;
4. მიწოდების ელასტიკურობა ფასის მიხედვით, მიწოდების მრუდის სხვადასხვა სახეობები;

თავი 6. მიწოდება, მოთხოვნა და სამთავრობო პოლიტიკა, გრ. მენქიუ, ეკონომიკის პრინციპები, "დიოგენე", 2008. გვ. 111-127.

საკითხები:

1. როგორ მოქმედებს ფასის ზედა ზღვარი ბაზრის ფუნქციონირების შედეგებზე;
2. როგორ მოქმედებს ფასის ქვედა ზღვარი ბაზრის ფუნქციონირების შედეგებზე;
3. როგორ მოქმედებს მყიდველთა დაბეგვრა ბაზრის ფუნქციონირების შედეგებზე;
4. როგორ მოქმედებს გამყიდველთა დაბეგვრა ბაზრის ფუნქციონირების შედეგებზე;
5. ელასტიკურობა და გადასახადების გადაკისრება;

თავი 7. მომხმარებლები, მწარმოებლები და ბაზრის ეფექტიანობა, გრ. მენქიუ, ეკონომიკის პრინციპები, "დიოგენე", 2008. გვ. 135-150.

საკითხები:

1. სამომხმარებლო დანაზოგი და მოთხოვნის მრუდის გამოყენება სამომხმარებლო დანაზოგის გამოსათვლელად;
2. მწარმოებლის დანაზოგი და მიწოდების მრუდის გამოყენება მწარმოებლის დანაზოგის გამოსათვლელად;
3. ფასის ცვლილების შედეგები სამომხმარებლო და მწარმოებლის დანაზოგებზე. ბაზრის წონასწორობის შეფასება ბაზრის ეფექტიანობის თვალსაზრისით.

თავი 8. თეორიის პრაქტიკული გამოყენება: დაბეგვრის დანახარჯები, გრ. მენქიუ, ეკონომიკის პრინციპები, "დიოგენე", 2008. გვ. 135-150

საკითხები:

1. როგორ მოქმედებს გადასახადი ბაზრის მონაწილეებზე, საერთო დანაკარგები;
2. საერთო დანაკარგები და საგადასახადო შემოსავლები გადასახადების ცვლილებისას;

თავი 9. თეორიის პრაქტიკული გამოყენება: საერთაშორისო ვაჭრობა, გრეგორი მენქიუ, ეკონომიკის პრინციპები, გამომც: ,,დიოგენე", 2008; გვ: 171-189

საკითხები:

1. ვაჭრობის დეტერმინანტები, მსოფლიო ფასი და შედარებითი უპირატესობა;
2. ექსპირტიორი და იმპორტიორი ქვეყნების სარგებლობა და დანაკარგები;
3. ტარიფის ეფექტი და მასთან დაკავშირებული სავაჭრო პოლიტიკა;
4. ვაჭრობის შეზღუდვის არგუმენტები;

თავი 13. წარმოების დანახარჯები და მოგება, გრ. მენქიუ, ეკონომიკის პრინციპები, "დიოგენე", 2008. გვ. 255-269.

საკითხები:

1. ეკონომიკური და საბუღალტრო მოგება;
2. საწარმოო ფუნქცია და შრომის ზღვრული პროდუქტი;
3. მუდმივი, ცვალებადი, საშუალო და ზღვრული დანახარჯები და მათი მრუდები;
4. მასშტაბის ეკონომიურობა, არაეკონომიურობა და მუდმივი ეფექტი;

თავი 14. ფირმები კონკურენტულ ბაზრებზე, გრ. მენქიუ, ეკონომიკის პრინციპები, "დიოგენე", 2008. გვ. 255-269.

საკითხები:

1. კონკურენტული ბაზრის დამახასიათებელი ნიშნები. სრულყოფილად კონკურენტული ფირმის მოთხოვნის მრუდი, საშუალო მთლიანი და საშუალო ცვალებადი დანახარჯთა მრუდები, ზღვრული დანახარჯები და მრუდი;
2. მოგების მაქსიმიზაცია და კონკურენტული ფირმის მიწოდების მრუდი მოკლევადიან პერიოდში;
3. მოგება და კონკურენტული ფირმის მიწოდების მრუდი გრძელვადიან პერიოდში;
4. კონკურენტული ფირმის გადაწყვეტილება მოკლევადიან პერიოდში წარმოების შეწყვეტის შესახებ;
5. ფირმის გადაწყვეტილება დარგიდან გასვლისა და დარგში შესვლის შესახებ გრძელვადიან პერიოდში;
6. კონკურენტული ფირმის მოგების გამოთვლა გრაფიკის საშუალებით.

თავი 15. მონოპოლია, გრ. მენქიუ, ეკონომიკის პრინციპები, "დიოგენე", 2008. გვ. 297-322.

საკითხები:

1. მონოპოლიის გაჩენის მიზეზები, ბუნებრივი მონოპოლიები;
2. მონოპოლიების გადაწყვეტილება წარმოების და ფასდადების შესახებ;
3. მონოპოლიის გავლენა კეთილდღეობაზე;
4. სახელმწიფო პოლიტიკა მონოპოლიებთან მიმართებაში;

თავი 16. ოლიგოპოლია, გრ. მენქიუ, ეკონომიკის პრინციპები, "დიოგენე", 2008. გვ. 329-349.

საკითხები:

1. ოლიგოპოლიური ბაზრის დამახასიათებელი ნიშნები. დუოპოლიის მაგალითი. კონკურენცია, მონოპოლიები და კარტელი.
2. წონასწორობა ოლიგოპოლიისთვის. ოლიგოპოლიის ზომის ცვლილების შედეგები ბაზრის ფუნქციონირების შედეგებზე.
3. თამაშთა თეორია და თანამშრომლობის ეკონომიკა - ,,პატიმართა დილემა";
4. სახელმწიფო პოლიტიკა ოლიგოპოლიებთან მიმართებაში;

თავი 17. მონოპოლისტური კონკურენცია, გრ. მენქიუ, ეკონომიკის პრინციპები, "დიოგენე", 2008. გვ. 355-368.

საკითხები:

1. მონოპოლისტური კონკურენციის ბაზრის დამახასიათებელი ნიშნები. მონოპოლისტური კონკურენციის ფირმები მოკლევადიან პერიოდში;
2. მონოპოლისტური კონკურენციის ფირმები გრძელვადიან პერიოდში, საწარმოო სიმძლავრეთა სიჭარბე;

3. მონოპოლისტური კონკურენციისა და სრულყოფილად კონკურენტული ფირმის შედარება;

თავი 18. წარმოების ფაქტორთა ბაზრები, გრ. მენქიუ, ეკონომიკის პრინციპები, "დიოგენე", 2008. გვ. 373-390.

საკითხები:

1. საწარმოო ფუნქცია და შრომის ზღვრული პროდუქტი, ზღვრული პროდუქტის ღირებულება და შრომაზე მოთხოვნა.
2. შრომაზე მოთხოვნისა და შრომის მიწოდების მრუდების გადაადგილებები;
3. წონასწორობა მიწისა და კაპიტალის ბაზარზე;

თავი 21. მომხმარებელთა არჩევანის თეორია, გრ. მენქიუ, ეკონომიკის პრინციპები, "დიოგენე", 2008. გვ. 435-457.

საკითხები:

1. საბიუჯეტო შეზღუდვა, ფარდობითი ფასები;
2. უპირატესობების ასახვა განურჩევლობის მრუდების მიხედვით;
3. მომხმარებლის ოპტიმალური არჩევანი;
4. როგორ მოქმედებს მომხამრებლის შემოსავლის ცვლილება მომხმარებლის არჩევანზე;
5. როგორ მოქმედებს ფასის ცვლილება მომხმარებლის არჩევანზე;

თავი 23. ეროვნული შემოსავლის გამოთვლა, გრეგორი მენქიუ, ეკონომიკის პრინციპები, გამომც: ,,დიოგენე", 2008; გვ: 483-501.

საკითხები:

1. მთლიანი შიდა პროდუქტის გამოთვლა და კომპონენტები;
2. რეალური მშპ და ნომინალური მშპ, მთლიანი შიდა პროდუქტის დეფლატორი;
3. მთლიანი შიდა პროდუქტი, როგორც ეკონომიკური კეთილდღეობის მაჩვენებელი;

თავი 24. ცხოვრების ღირებულების გამოთვლა, გრეგორი მენქიუ, ეკონომიკის პრინციპები, გამომც: ,,დიოგენე", 2008; გვ: 503-517.

საკითხები:

1. სამომხმარებლო ფასების ინდექსის გამოთვლა, ცხოვრების ღირებულების გამოთვლისას წარმოქმნილი პრობლემები, მშპ დეფლატორის და სამომხმარებლო ფასების ინდექსის შედარება;
2. ეკონომიკური ცვლადების კორექცია ინფლაციის ეფექტების გათვალისწინებით: ფული დროის სხვადასხვა ინტერვალებში, ინდექსაცია, სარგებლის ნომინალური და რეალური განაკვეთები;

თავი 25. წარმოება და ეკონომიკური ზრდა, გრეგორი მენქიუ, ეკონომიკის პრინციპები, გამომც: ,,დიოგენე", 2008; გვ: 519-544.

საკითხები:

1. ეკონომიკური ზრდა მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებში, მწარმოებლურობა და მისი დეტერმინანტები;

2. დანაზოგებისა და ინვესტიციების მნიშვნელობა, კლებადი უკუგება და მკვეთრი ზრდის ეფექტი;
3. უცხოური ინვესტიციების, განათლების, საკუთრების უფლებების დაცვისა და პოლიტიკური სტაბილურობის როლი ქვეყნის ეკონომიკური ზრდისათვის;
4. თავისუფალი ვაჭრობის, მეცნიერული კვლევების განვითარებისა და მოსახლეობის ზრდის კონტროლი ქვეყნის ეკონომიკური ზრდისათვის;

თავი 26. დანაზოგები, ინვესტიციები და ფინანსური სისტემა, გრეგორი მენქიუ, ეკონომიკის პრინციპები, გამომც: ,,დიოგენე", 2008; გვ: 545-563.

საკითხები:

1. ფინანსური ბაზრები და ფინანსური შუამავლები. ფინანსური ბაზრების განვითარების მნიშვნელობა.
2. დანაზოგები და ინვესტიციები ეროვნული შემოსავლის ანგარიშებზე. დანაზოგებისა და ინვესტიციების არსი.
3. გადასახადების ცვლილების გავლენა დანაზოგებზე და სასესხო კაპიტალის ბაზარზე;
4. გადასახადების ცვლილების გავლენა ინვესტიციებზე და სასესხო კაპიტალის ბაზარზე;
5. სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტის გავლენა სასესხო კაპიტალის ბაზარზე.

თავი 28. უმუშევრობა, გრეგორი მენქიუ, ეკონომიკის პრინციპები, გამომც: ,,დიოგენე", 2008; გვ: 581- 604.

საკითხები:

1. უმუშევრობის განსაზღვრა და გამოთვლა. უმუშევრობის სახეები: ციკლური, ფრიქციული და სტრუქტურული უმუშევრობა;
2. უმუშევრობის მიზეზები: მინიმალური ხელფასის კანონი და პროფკავშირების ეკონომიკა;
3. უმუშევრობის მიზეზები: ეფექტიანი ხელფასის თეორია - მშრომელთა ჯანმრთელობა, დენადობა, კვალიფიკაცია და ძალისხმევა;

თავი 29. მონეტარული სისტემა, გრეგორი მენქიუ, ეკონომიკის პრინციპები, გამომც: ,,დიოგენე", 2008; გვ: 609-626.

საკითხები:

1. ფულის მნიშვნელობა, ფულის ფუნქციები და ფულის სახეობები; ბანკები და ფულის მიწოდება.
2. ფედერალური სარეზერვო სისტემის ფინანსური ინსტრუმენტები მონეტარული კონტროლისათვის. ფულის მიწოდების კონტროლისას წარმოქმნილი პრობლემები;

თავი 30. ფულის მასის ზრდა და ინფლაცია, გრეგორი მენქიუ, ეკონომიკის პრინციპები, გამომც: ,,დიოგენე", 2008; გვ: 629-653.

საკითხები:

1. ინფლაციის კლასიკური თეორია: ფასების დონე და ფულის ღირებულება - ფულის ბაზარი.
2. კლასიკური დიქოტომია და მონეტარული ნეიტრალიტეტი, ფულის ბრუნვის სიჩქარე და რაოდენობრივი განტოლება. ინფლაციის გადასახადი და ფიშერის ეფექტი;

თავი 31. ღია ეკონომიკის მაკროეკონომიკა: ძირითადი ცნებები, გრეგორი მენქიუ, ეკონომიკის პრინციპები, გამომც: ,,დიოგენე", 2008; გვ: 657-677.

საკითხები:

1. საქონლისა და ფინანსური რესურსების საერთაშორისო ნაკადები - ექსპორტი, იმპორტი, წმინდა ექსპორტი, კაპიტალის გადინება, შემოდინება და კაპიტალის წმინდა გადინება.
2. ნომინალური და რეალური სავალუტო კურსები, რეალური სავალუტო კურსის ცვლილების გავლენა წმინდა ექსპორტზე;
3. მსყიდველობითი უნარის პარიტეტის თეორია.

თავი 32. ღია ეკონომიკის მაკროეკონომიკური თეორია, გრეგორი მენქიუ, ეკონომიკის პრინციპები, გამომც: ,,დიოგენე", 2008; გვ: 679-697.

საკითხები:

1. სასეხხო კაპიტალისა და უცხოური ვალუტის გაცვლის ბაზარი. კაპიტალის წმინდა გადინება: კავშირი ორ ბაზარს შორის და ერთდროული წონასწორობა.
2. სამთავრობო ბიუჯეტის დეფიციტის გავლენა ღია ეკონომიკაზე;
3. სავაჭრო პოლიტიკის ცვლილების გავლენა ღია ეკონომიკაზე;
4. ,,კაპიტალის გაფრენა" პოლიტიკური არასტაბილურობის დროს და მისი გავლენა ღია ეკონომიკაზე;

თავი 33. ერთობლივი მოთხოვნა და ერთობლივი მიწოდება, გრეგორი მენქიუ, ეკონომიკის პრინციპები, გამომც: ,,დიოგენე", 2008; გვ: 701-738.

საკითხები:

1. ეკონომიკური რყევების სამი ძირითადი ფაქტი.
2. მოკლევადიანი პერიოდის ეკონომიკური რყევები: ერთობლივი მოთხოვნის მრუდის კლებადობის მიზეზები და მისი გადაადგილებები;
3. მოკლევადიანი პერიოდის ეკონომიკური რყევები: ერთობლივი მიწოდების მრუდის ზრდადობის მიზეზები და მისი გადაადგილებები;
4. გრძელვადიანი პერიოდის ერთობლივი მიწოდების მრუდი და მისი გადაადგილებები;
5. ერთობლივი მოთხოვნისა და ერთობლივი მიწოდების გამოყენება გრძელვადიანი პერიოდის ეკონომიკური ზრდისა და ინფლაციის ასახვისათვის;
6. ერთობლივი მოთხოვნისა და ერთობლივი მიწოდების მრუდების გადაადგილების შედეგები.

თავი 34. მონეტარული და ფისკალური პოლიტიკის გავლენა ერთობლივ მოთხოვნაზე, გრეგორი მენქიუ, ეკონომიკის პრინციპები, გამომც: ,,დიოგენე", 2008; გვ: 739- 760.

საკითხები:

1. მონეტარული პოლიტიკის გავლენა ერთობლივ მოთხოვნაზე (ლიკვიდურობის უპირატესობის თეორია, ფულის მიწოდების ცვლილებები და სარგებლის განაკვეთი);
2. ფისკალური პოლიტიკის გავლენა ერთობლივ მოთხოვნაზე (სახელმწიფო შესყიდვების გავლენა, მულტიპლიკატორის ეფექტი, დანახარჯების მულტიპლიკატორის ფორმულა, გამოდევნის ეფექტი);

ბილეთი შედგება 5 საკითხისგან. სამი საკითხი იქნება მიკროეკონომიკიდან, ორი საკითხი მაკროეკონომიკიდან.

თითოეული საკითხის მაქსიმალური შეფასების ქულაა 20. შეფასებისას გათვალისწინებული იქნება საკითხის გადმოცემის სიზუსტე (8 ქულა), ლოგიკური აზროვნების უნარი (4 ქულა), გადმოცემის სტილი (2 ქულა), მაგალითების მოყვანა და გრაფიკული ანალიზი (საჭიროების შემთხვევაში) (6 ქულა).